ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №70

4 ივნისი 2024 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- ლევან არველაძე, ლევან დავითაშვილი, ავთანდილ ცინცაძე, არჩილ გორდულაძე, აკაკი ალადაშვილი.
მოწვეული სტუმარი:
საფინანსო საქალაქო სამსახური - ლევან მიქავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.
1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

№11-01241492726 საკრ.№15-032414916-03 (28/05/24)

№11-01241552560 საკრ.№15-032415578-03 (03/06/24)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

ლევან მიქავას მოხსენებით, წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის **რაიონული გამგეობების და** თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ მოთხვნილი კვარტალური ცვლილებები. მათ შორის მეორე კვარტლის გეგმა იზრდება შემდეგ პროგრამებში:
„გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში“ (პროგ/კოდი:01 01 08) -850 000 ლარით.
„კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში“ (პროგ/კოდი: 02 09 11)- 442 121 ლარით.
„კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში“ (პროგ/კოდი: 02 09 18)- 150 000 ლარით.
„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების (დახმარება)დაფინანსება კრწანისის რაიონში (პროგ/კოდი:05 01 16)- 400 000 ლარით.
„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების (დახმარება)დაფინანსება ისნის რაიონში (პროგ/კოდი:05 01 14)- 380 000 ლარით. აღნიშნულ პროგრამაში არის წლიურ გეგმაში ცვლილება კლასიფიკაციის მუხლებს შორის.
მცირდება: „კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში“ (პროგ/კოდი: 08 09 10)- 600 000 ლარით.
„კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში“ (პროგ/კოდი 08 11 07)- 23 000 ლარით.
პროგრამის „ თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები“(პროგ/კოდი 04 03) წლიური გეგმა მცირდება 70 000 ლარით და შესაბამისად იზრდება პროგრამა „თბილისი- საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში“ (პროგ/კოდი 04 04).
ლევან მიქავამ ისაუბრა კვარტალური ცვლილებების მიზეზებზე. ასევე აღნიშნა, რომ ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ დაგეგმილია ღონისძიება „ ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის სხდომა“, რისთვისაც სამსახურს დამატებით სჭირდება 270 000 ლარი. ამ ეტაპზე უცხოელი სტუმერის ავიაბილეთების შესაძენად საჭიროა 70 000 ლარი, რაც კვარტალური ცვლილებით ხდება. საერთო ჯამში გადასახდელების მეორე კვარტლის გეგმა

იზრდება 1645121 ლარით, რაც ბალანსდება შემოსავლების მეორე კვარტლის გეგმის გაზრდისა და ნაშთის ცვლილებით.
მომხრე-6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური და რაიონული გამგეობები ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთა უმრავლესობამ გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**